1922
SCIENTIA POTESTAS EST.
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შპს ჰიდროტექნიკოსი **"HYDROTECHNIC" LT**

saqar Tvel o, Tbil isi ,0154. agl aZi s q.№26/4
t el : 599720363;599104919 email: hydrotecnic2015@gmail.com ID:402022011

Georgia, Tbilisi,0154. Agladze str.№26/4
Tel:599720363; 599104919: hydrotecnic2015@gmai

მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

№ 01-08-17/32-2023-4
24.03.2023

ერთის მხრივ, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (ს/კ. 211349192), წარმოდგენილი **რექტორის დავით გურგენიძის სახით,** (შემდგომში ,,უნივერსიტეტი'') და მეორე მხრივ, შპს ,,ჰიდროტექნიკოსი" (ს/კ.402022011), (შემდგომში ,,ორგანიზაცია'') წარმოდგენილი **დირექტორის პაატა ტუღუშის** სახით, სარგებლობენ რა ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპით, გამოხატავენ ურთიერთთანამშრომლობის სურვილს და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. მემორანდუმის მიზანი

1. სამშენებლო ფაკულტეტის, სადოქტორო პროგრამის ,,წყლის რესურსების ინჟინერია" (კვალიფიკაცია ,,გარემოს ინჟინერიის დოქტორი") განვითარების მიზნით ურთიერთთანამშრომლობა;
2. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობა (შრომის ბაზრის კვლევის ასპექტები, კურიკულუმის რუქის შემუშავება, სილაბუსების მომზადება და სხვ.);
3. მხარეებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება;
4. ერთობლივი ღონისძიებების განხორციელება;
5. დოქტორანტების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სტაჟირების გავლა და კვალიფიციული კადრების მომზადება;
6. სხვადასხვა სამეცნიერო ან/და შემეცნებითი პროექტების ერთობლივად განხორციელება.

მუხლი 2. ერთობლივი პროგრამები

მხარეები იმუშევებენ შემდეგი მიმართულებებით:

2.1. მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა დონის საგანმანათლებლო/პრაქტიკული ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებაში (ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება, ექსპერტული კონსულტაციები, საჯარო ლექციების ორგანიზება და ა.შ.);

2.2. დაგეგმავენ და განახორციელებენ ერთობლივ შეხვედრებს, სემინარებს, კონფერენციებს, ტრენინგებს და სხვ. (ადგილობრივი/საერთაშორისო);

2.3. დაგეგმავენ ერთობლივ პროექტებს/საერთაშორისო აქტივობებს და იმუშავებენ ამ პროექტის განსახორციელებლად გრანტების მოძიების მიმართულებით;

2.4. თითოეული მხარის მნიშვნელოვან მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს თანამშრომლები და პროექტში ჩართული დოქტორანტები გამოიყენებენ უსასყიდლოდ;

2.5. უნივერსიტეტის დოქტორანტები სამეცნიერო პროფესიულ სწავლებას გაივლიან შპს ,,ჰიდროტექნიკოს“ –ში;

2.6. დოქტორანტებს ექნება დასაქმების შესაძლებლობა.

მუხლი 3. პროგრამების განხორციელება

მემორანდუმით გათვალისწინებული ერთობლივი ღონისძიებების, აგრეთვე ცალკეული აქტივობების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები, უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის მოლაპარაკების და შეთანხმების გზით, საქართველოს კანონმდებლონის შესაბამისად.

მუხლი 4. სხვადასხვა დებულებები

4.1 დაუშვებელია მოცემული მემორანდუმის რომელიმე დებულების შეცვლა, მოდიფიცირება, უარყოფა, გაუქმება ან შეწყვეტა მხარეთა წერილობითი თანხმობის გარეშე;

4.2 თუ დროის ნებისმიერ მონაკვეთში ან მემორანდუმის რომელიმე დებულება მიიჩნევა ძალადაკარგულად, ეს გავლენას არ იქონიებს მემორანდუმის, როგორც მთლიანი დოკუმენტის იურიდიულ ძალასა და კანონიერებაზე.

4.3 წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე.

4.4 მემორანდუმი ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს შვიდი წლის ვადით. მხარეებს შეუძლიათ ,ურთიერთშეთანხმებით, გააგრძელონ მემორანდუმის მოქმედების ძალა.

4.5 მემორანდუმის ძალა შეიძლება შეწყდეს ნებისმიერ დროს. მემორანდუმის შეწყვეტის ინიციატორი მხარე მემორანდუმის ვადის გასვლამდე 1 (ერთი) თვით ადრე წერილობით ატყობინებს მეორე მხარეს მემორანდუმის შეწყვეტის თაობაზე.

საქართველოს ტექნიკური უნივერსისტეტი
მისამართი – 0160, საქართველო, თბილისი,
კოსტავას 77, ადმინისტრაციული კორპუსი
ტელეფონი: (+995 32) 2 77 11 11,
WEB – www.gtu.ge
E-mail: rectoroffice@gtu.ge

რექტორი დავით გურგენიძე

შპს ,,ჰიდროტექნიკოსი“
მისამართი – ქ. თბილისი,
რ. აგლაძის 26

E-mail: p.tughushi@yahoo.com

დირექტორი პაატა ტუღუში